F-171
1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

## № 11

ნოემბერი—НОЯБРЬ

თბილისი — 1978 — ТБИЛИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 24/X-78 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/I-79 წ.;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,4;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,20;

უფასო

შეკვეთა № 1067; უე 06506 ტირაჟი 5000

Типография Республиканского научно-методического центра
воспитательной работы, ул. Нуцубидзе № 7.
აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური
ცენტრის სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-4523

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 29 სექტემბრის

# გადაწყვეტილება

## რუსული და უცხოური ენების სწავლების სრულყოფის მიზნით პედაგოგიური ექსპერიმენტის მიმდინარეობის შესახებ

გაეცნო რა ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ თბილისის 1-ლ ექსპერიმენტულ, 147-ე, მცხეთის რაიონის მუხრანისა და ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლებში 1977—1978 სასწავლო წელს რუსულ და უცხოურ ენებში გაკვეთილების კონცენტრირებულად ჩატარების ერთი წლის შედეგებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია მიზანშეწონილად მიიჩნევს ექსპერიმენტის გაგრძელებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თბილისის 1-მა ექსპერიმენტულმა, 147-ე, მცხეთის რაიონის მუხრანის, ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლებმა (ამხ. ამხ. მ. კობახიძე, ა. ჩაფიძე, კ. ქოქოსაძე, მ დიასამიძე) კვლავაც მტკიცედ იხელმძღვანელონ „რუსული და უცხოური ენების სწავლების სრულყოფის მიზნით პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ" საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1977 წლის 31 ოქტომბრის № 747 ბრძანებით.

2. რუსულ და უცხოურ ენებში გაკვეთილების კონცენტრირებულად ჩატარების ექსპერიმენტი მიმდინარე სასწავლო წელს გაგრძელდეს იმავე კლასებში, სადაც გასულ წელს ტარდებოდა, მასწავლებელთა იმავე შემადგენლობით, ხოლო ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს იმ კლასების მასწავლებლებს, სადაც ექსპერიმენტი მიმდინარე სასწავლო წლიდან იწყება.

მხედველობაში იქნას მიღებული, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის 1978 წლის 25 სექტემბ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის ბრძანება № 140.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე):

— შეაჯამოს ამ მიმართებით ჩატარებული ორი წლის მუშაობის შედეგები და 1979 წლის ივნისისათვის წარმოადგინოს წინადადებები ექსპერიმენტის შემდგომი გაგრძელებისა და გაფართოების მიზანშეწონილობის თაობაზე. შეიმუშაოს მეთოდიკური მითითებები და რეკომენდაციები რუსული, და უცხოური ენების კონცენტრირებულად სწავლების საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) 1979—1980 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს მეთოდიკური მითითებების გამოცემა ამ საგნების ექსპერიმენტატორი მასწავლებლებისათვის.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. ფანჩულიძე) განახორციელოს კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე — უშ. ოგოლაძე

მინისტრის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

## 1978 წლის 13 ოქტომბრის

## ბრძანება № 671

### რესპუბლიკის სპეცსკოლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის სპეცსკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა გამოფენამ სახვით ხელოვნებაში და მხატვრული თვითმოქმედების II რესპუბლიკურმა დათვალიერებამ, რომელიც მიმდინარე წლის 19-დან 21 მაისამდე მაღალ მხატვრულ და იდეურ დონეზე ჩატარდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში ცხადყო, რომ სპეცდაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივები ამ ბოლო დროს უკეთ წყვეტენ ანომალურ ბავშვთა ნაკლის კორექციისა და სოციალური ადაპტაციის საკითხებს არამარტო სწავლების, არამედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესშიც.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ყველა სპეცსკოლისა და სკოლა-ინტერნატის საგუნდო და ქორეოგრაფიულმა, ვოკალურმა და ინსტრუმენტულმა კოლექტივებმა, სასკოლო დრამატულმა წრეებმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა, დეკლამატორებმა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მოყვარულებმა.

თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებაში განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად თბილისისა და ქუთაისის ყრუ-ბავშვთა სკოლა ინტერნატების (ამხ. ამხ. ზ. უკლება, ლ. ჯახუა); ქ. თბილისის უსინათლო და სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების (ამხ. ამხ. თ. ადამაძე, ნ. პატარიძე), სიღნაღისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატების (ამხ. ამხ. შ. მახაშვილი, კ. ხარშილაძე), კოხნარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხმარე სკოლა-ინტერნატის (ამხ. კ. კვინტრაძე), ქ. თბილისის სმენადაქვეითებული და დამხმარე სკოლების (ამხ. ამხ. ა. წერეთელი, ა. ფიფია), ქ. თბილისის 1-ლი (ამხ. მ. დუდუჩავა), ბუნიკაურის (ამხ. მ. კობიაშვილი) და გუმათის დამხმარე (ამხ. რ. მოწონელიძე) სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებს.

მხატვრულ ნაკეთობათა შესრულების ორიგინალური მანერითა და ხარისხით გამოირჩეოდნენ ქ. თბილისის 1-ლი და მე-2 დამხმარე, ქუთაისის სმენადაქვეითებულ და თბილისის ყრუ, აგრეთვე სუსტადმხედველ და უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისა და სოხუმის დამხმარე სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სპეცსკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მხატვრული თვითშემოქმედების II რესპუბლიკურ დათვალიერებაში მოპოვებული წარმატებებისათვის გამოეცხადოთ მადლობა სპეცსკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებს: ლ. ჯახუას, თ. ადამაძეს, ნ. პატარიძეს, ზ. უკლებას, ა. ფიფიას, ა. წერეთელს, შ. მახაშვილს, კ. ხარშილაძეს, გ. კვინტრაძეს, მ. დუდუჩავას, მ. კობიაშვილს, რ. მოწონელიძეს, რ. ბიგვავას და ლ. მერინოვას.

2. დაჯილდოვდნენ „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით სპეცსკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ის მასწავლებლები და აღმზრდელები, რომლებმაც გამოიჩინეს განსაკუთრებული მონდომება და უზრუნველყვეს მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების მაღალი დონე.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი) უზრუნველყოს რესპუბლიკის სპეცსკოლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების რეგულარული და ორგანიზებული ჩატარება.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) რესპუბლიკის სპეც-

სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების საჭიროებისათვის, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს განაცხადის მიხედვით, გამოყოს საჭირო მასალები აღნიშნული ღონისძიების მაღალიდეურ და მხატვრულ დონეზე მომზადებისა და ჩატარების უზრუნველსაყოფად.

მინისტრის მოადგილე **უშ. ოზოლაძე**

დანართი № 1

1. ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი — რ. პავლოვა, მ. ქუთათელაძე, ლ. ბაიხოძე
2. ქ. თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი — ვ. ხუფაცარია, ე. ბერიძე, ე. მუჯირი
3. ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი — ნ. კაპანაძე, ი. ცქიტიშვილი, ა. მოდრეკილაძე
4. ქ. თბილისის სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი — რ. დრიაევი, ც. უგულავა, ლ. ზაუტაშვილი, ე. კოკელაშვილი
5. ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი — ლ. გელაძე, ნ. ფოფხაძე, ვ. მიქაძე
6. ქ. თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატი — ლ. სორდია
7. ქ. თბილისის დამხმარე სკოლა — გ. ავეტისოვი, ყ. კვეზერელი, ი. ხატეიშვილი
8. ქ. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი — ე. გოცირიძე, გ. ქიშმარეიშვილი, ი. გაბრიჩიძე, გ. კოპალიანი
9. სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატი — მ. ზურაბაშვილი, ნ. ჯოხარიძე
10. ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატი — ა. თამარაშვილი, რ. აბისოლომონიანი
11. სოხუმის დამხმარე სკოლა — ა. შეპტუნი
12. მიუსერის დამხმარე სკოლა-ინტერნატი — რ. ტარბა
13. გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატი — ნ. ბოჭორიშვილი, მ. ფხაკაძე, თ. ტყაბლაძე
14. ბუნიკაურის დამხმარე სკოლა-ინტერნატი — ქ. ბუხრაშვილი, მ. პაპიჯანოვი
15. კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატი — ზ. სიხარულიძე, მ. თოდუა, დ. თოდუა

# ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 671

**13 октября 1978 года**

**О результатах смотра художественной самодеятельности воспитанников спецшкол и школ-интернатов республики**

В Республиканском Дворце пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе с 19 по 21 мая текущего года проводилась выставка изобразительного искусства и II Республиканский смотр художественной самодеятельности учащихся спецшкол и школ-интернатов республики. Оба мероприятия прошли на высоком художественном и идейном уровне и показали, что педагогические коллективы спецучреждений в последние годы лучше решают вопросы коррекции и социальной адаптации недостатков аномальных детей не только в процессе обучения, но и во время внеклассной и внешкольной работы.

В проведении указанного мероприятия принимали участие хоровые и хореографические, вокальные и инструментальные коллективы всех спецшкол и школ-интернатов республики, школьные драматические кружки, индивидуальные исполнители, певцы, танцоры, декламаторы, любители изобразительного и прикладного искусства.

В смотре самодеятельных коллективов с особым успехом выступили воспитанники школ-интернатов для глухих детей городов Тбилиси и Кутаиси (тов. тов. З. Уклеба, Л. Джахуа), школ-интернатов для слепых детей и детей со слабым зрением г. Тбилиси (тов. тов. Т. Адамадзе, Н. Патаридзе), Сигнахской и Ахалцихской вспомогательных школ-интернатов (тов. тов. Ш. Махашвили, К. Харшиладзе), Кохнарской вспомогательной школы-интерната (тов. Г. Квинтрадзе), Тбилисской вспомогательной школы и школы-интерната для слабослышаших детей (тов. тов. А. Пипиа, А. Церетели), Тбилисской 1-ой (тов. М. Дудучава), Буникаурской (тов. М. Кобиа-

швили) и Гуматской вспомогательных (тов. Р. Моцонелидзе) школ-интернатов.

Оригинальной манерой исполнения художественных изделий и высоким качеством отличались работы учащихся Тбилисской 1-ой и 2-ой вспомогательных школ-интернатов, школы-интерната для слабослышащих детей г. Кутаиси, школ-интернатов для глухих, слабовидящих и слепых детей г. Тбилиси и вспомогательной школы г. Сухуми.

Исходя из вышеизложенного,

приказываю:

1. За успехи, достигнутые во II Республиканском смотре художественной самодеятельности учащихся спецшкол и школ-интернатов объявить благодарность директорам спецшкол и школ-интернатов: Л. Джахуа, Т. Адамадзе, Н. Патаридзе, З. Уклеба, А. Пипиа, А. Церетели, Ш. Махашвили, К. Харшиладзе, Г. Квинтрадзе, М. Дудучава, М. Кобиашвили, Р. Моцонелидзе, Р. Бигвава и Л. Мериновой.

2. Наградить нагрудным значком «Отличник народного образования Грузинской ССР» учителей и воспитателей школ-интернатов, особо отличившихся своим усердием и обеспечивших высокий уровень художественной самодеятельности учащихся (приложение №1).

3. Управлению школ-интернатов и детских домов Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Т. Николаишвили) обеспечить регулярное и организованное проведение Республиканского смотра художественной самодеятельности воспитанников спецшкол и школ-интернатов республики.

4. Главному управлению снабжения Министерства просвещения Грузинской ССР (тов. О. Кереселидзе) для нужд спецшкол и школ-интернатов республики, по заявке Управления школ-интернатов и детских домов, выделить необходимые материалы для обеспечения подготовки и проведения указанного мероприятия на высоком идейном и художественном уровне.

**Зам. Министра** **УШ. ОБОЛАДЗЕ**

Приложение №1

ბიბლიოთეკა

1. Школа-интернат для глухих детей г. Тбилиси — Р. Павлова, М. Кутателадзе, Л. Баиходзе
2. Школа-интернат для слабослышащих детей г. Тбилиси — В. Хупацариа, Э. Беридзе, Э. Муджири
3. Школа-интернат для слепых детей г. Тбилиси — Н. Капанадзе, И. Цкитишвили, А. Модрекиладзе
4. Школа-интернат для слабовидящих детей г. Тбилиси — Р. Дриаева, Ц. Угулава, Л. Зауташвили, Э. Кокелашвили
5. Вспомогательная школа-интернат №1 г. Тбилиси — Л. Геладзе, Н. Попхадзе, В. Микадзе
6. Вспомогательная школа-интернат №2 г. Тбилиси — Л. Сордиа
7. Вспомогательная школа-интернат г. Тбилиси — Г. Аветисова, Ж. Квезерели, И. Хатеишвили
8. Школа-интернат для глухих детей г. Кутаиси — Э. Гоциридзе, Г. Кишмареишвили, И. Габричидзе, Г. Копалиани
9. Вспомогательная школа-интернат г. Сигнахи — М. Зурабашвили, Н. Джохаридзе
10. Вспомогательная школа-интернат г. Ахалцихе — А. Тамарашвили, Р. Абисолиомонян
11. Вспомогательная школа г. Сухуми — А. Шептун
12. Мюссерская вспомогательная школа-интернат — Р. Тарба
13. Гуматская вспомогательная школа-интернат — Н. Бочоришвили, М. Пхакадзе, Т. Ткабладзе
14. Буникаурская вспомогательная школа-интернат — К. Бухрашвили, М. Папиджанова
15. Кохнарская вспомогательная школа-интернат — З. Сихарулидзе, М. Тодуа, Д. Тодуа

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

## 1978 წლის 2 ნოემბრის

## გადაწყვეტილება

**კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარის შედეგების შესახებ.
2. დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს მასწავლებელთა დხელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად ყოველწლიურად უზრუნველყოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა ანალოგიური სახის გადასამზადებელი კურსების ჩატარება.
3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს აღნიშნული საკითხი განიხილონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა რესპუბლიკურ კურსებზე ახალდამწყები, პერსპექტიული მუშაკების გამოგზავნას.
4. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოეცხადოთ მადლობა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. კ. მიქაიას და მ. ნარმანიას, ზუგდიდის რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. გ. გეთიას, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ამხ. ლ. შელიას.
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩიგავა).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი** **ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინფორმაცია

## კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარის შედეგების შესახებ

განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 28 ივნისიდან 12 ივლისამდე ზუგდიდის რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატის ბაზაზე ჩატარდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარი. სემინარის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების პასუხისმგებლობა დაეკისრათ აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს და საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს.

რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს დროულად დაეგზავნათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარის ჩატარების შესახებ. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 212 ამხანაგმა. მათ შორის ქალი — 133, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი — 123, 30 წლის ასაკამდე — 48, 30-დან 40 წლამდე — 73, 40-დან 50 წლამდე — 69, 50-დან 60 წლამდე 20, 60 წლის ზევით — 2. სამუშაო სტაჟის მიხედვით: 1 წლამდე სტაჟი ქონდა 37 ამხანაგს, 5 წლამდე — 87 ამხანაგს, 5-დან 10 წლამდე — 88 ამხანაგს.

მოსწავლეთა აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა უამრავი საკითხის გაანალიზებასა და სწორად გადაწყვეტას მოითხოვს. დიდი იყო იმ საკითხთა წრე, რომელიც სემინარმა მოიცვა. მთელი მისი მუშაობა საქართველოს მასწავლებელთა მე-4 და მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე მიმდინარეობდა. დაკისრებული მოვალეობის მთელი სიღრმით შეგნება ორგანიზატორისაგან გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად დიდ თეორიულ და პოლიტიკურ ცოდნას, პედაგოგიურ ოსტატობას მოითხოვს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ორგანიზატორთა რესპუბლიკური სემინარიც.

მიზნობრივმა სემინარმა ერთგვარად გახსნა და სისტემაში მოიყვანა კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების არსი. ყურად-

ლების ცენტრში მოექცა მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ძირითადი ამოცანები და პრინციპები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური სემინარის თემატიკა მოიცავდა მრავალ საკვანძო საკითხს: კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორის საქმიანობის ფორმები და მეთოდები, აღმზრდელობითი მუშაობის სისტემის შექმნა — ორგანიზატორის ძირითადი სამუშაო, ორგანიზატორის მუშაობის დაგეგმვა, აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი, დაგეგმვის პრინციპი; კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და გავრცელების მეთოდიკა და ა.შ.

თეორიულ საკითხებზე სემინარის მონაწილეებთან ლექცია-მოხსენებებით გამოვიდნენ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის, აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის, პიონერთა რესპუბლიკური სასახლის მუშაკები, ზუგდიდის რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეები.

სემინარის თითოეული დღე — ეს იყო არასასწავლო დროის სწორი ორგანიზაციისათვის საჭირო ფორმებისა და მეთოდების ძიების დღეები. მსმენელებს მიეცათ დავალება პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოემზადებინათ რეფერატები აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე, სემინარზე მათ შეექმნათ პირობები პრაქტიკული ჩვევების გამოსავლენად. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებისათვის ადრე ჩატარებული კურსების, თათბირ-სემინარების თუ კონფერენციებისაგან განსხვავებით, ზუგდიდში ჩატარებული რესპუბლიკური სემინარი იმითაც იყო თავისებური, რომ მონაწილეთა დღის მეორე ნახევარი არასასწავლო დროის ორგანიზაციას, აღმზრდელობითი მუშაობის სისტემის შექმნის პრინციპებს ექვემდებარებოდა. ეს კი დიდ შრომასთან, ორგანიზებულობასთან ერთად საკითხთა დიდი წრის სწორად გააზრება-გადაწყვეტას მოითხოვდა. თითოეული ჩატარებული ღონისძიება სემინარის მონაწილეთა არა მარტო დასვენება-გართობის მიზანს ემსახურებოდა, არამედ მის მეთოდურად განხილვას, გააზრებას, გაანალიზებასაც გულისხმობდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ღონისძიებათა მთელი რიგი ფილმებისა და სპექტაკლის

ნახვა, შეხვედრა თეატრის შემოქმედებით კოლექტივთან, კინოსა და თეატრის დღეების მოწყობა, ზეპირი ჟურნალი, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება, საბჭოური რიტუალების დღე, პრესკონფერენცია, სპარტაკიადა, კონკურსი საუკეთესო კედლის გაზეთზე, ექსკურსიების ჩატარება და ა. შ.

სემინარის მონაწილეებს ჯგუფების მიხედვით პრაქტიკული ღონისძიებისათვის ამზადებდნენ: სამინისტროს უფროსი ინსპექტორი — მ. ბაჩილავა, აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრიდან ამხ. ამხ. კ. გაგნიძე, ჟ. ლონდარიძე, ზ. ოდიშარია, ნ. სარდლიშვილი, პიონერთა რესპუბლიკური სასახლიდან მ. ომიაძე, თბილისის 121-ე საშუალო სკოლის დირექტორი ე. თევდორაძე, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სექტორის ხელმძღვანელი მ. საყვარელიძე.

ყოველ ღონისძიებას უკეთდებოდა მეთოდური ანალიზი, მზადდებოდა რეკომენდაციები, თუ როგორ ჩატარებულიყო მსგავსი ღონისძიებები სკოლებში. განსაკუთრებით გაძლიერდა ყურადღება უფროსკლასელებთან მუშაობის პრობლემებზე, ამ მუშაობის თავისებურებებზე.

რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარის მუშაობა დაემთხვა მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის ჩატარების დღეებს. ამიტომ, სემინარზე ყრილობის მასალები საკმაოდ ვრცლად დამუშავდა.

სემინარის მონაწილეებთან შეხვედრისას ორგანიზატორთა საქმიანობის მრავალ საკითხს შეეხნენ განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. ზ. ლომიძე, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი ამხ. მ. დარჩია, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი ამხ. თ. ქღენტი. ამ შეხვედრებზე მსმენელთა მიერ დასმულ მრავალ საინტერესო და პრობლემურ საკითხზე იქნა პასუხი გაცემული.

საგულისხმოდ გვეჩვენა ის ფაქტი, რომ სემინარის მონაწილეთა ნაშრომები ყველაზე უხვად შრომითი აღზრდის საკითხებზე იყო წარმოდგენილი, რაც თავისთავად იმ დიდ მუშაობაზე მიგვანიშნებს, რომელიც ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის

მიზანსწრაფულად წარმათვისათვის ტარდება სკკპ და საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკური მიზნობრივი სემინარის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა გარკვეულ ჯგუფს თითოეული ქალაქიდან და რაიონიდან (მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრა ადგილებზე ორგანიზატორთა საერთო რაოდენობიდან). მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროებს, განათლების განყოფილებებს დროულად ეცნობათ სემინარის ჩატარების მიზანი, დრო და ადგილი, ზოგიერთი მათგანი საკმაო ყურადღებითა და პასუხისმგებლობით არ მოეკიდა აღნიშნულ საკითხს. სემინარმა მუშაობა დაიწყო 28 ივნისს, 30 ივნისს რესპუბლიკის 43 რაიონიდან არ იყვნენ წარმომადგენლები ჩამოსული. საჭირო გახდა დეპეშით აღნიშნული საკითხის ამხანაგებისათვის კიდევ ერთხელ შეხსენება. მიუხედავად ამისა, ნაცვლად 300 ამხანაგისა, სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა 212 ამხანაგი. ამასთან, ჩამოსულ ამხანაგთა უმრავლესობამ არ იცოდა რა სახის სემინარზე და რა დროით იყო მივლინებული. მსმენელთა ერთი ნაწილის ასეთმა განწყობამ სემინარის პირველ დღეებში გაართულ. სამუშაო პირობები. აუცილებელი შეიქნა ზოგიერთი მათგანის მოხსნა სემინარული მუშაობისაგან. იყო სხვა სახის დარღვევებიც. მაგ: ქ. თბილისის 129-ე სკოლის კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა ამხ. ოთარ ართმელიძემ რეგისტრაციაში გატარებისთანავე უნებართვოდ დატოვა სემინარი და მთელი ორი კვირის მანძილზე ვერ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დადგენა. ყველაფერმა ამან სემინარის ორგანიზატორებისაგან ყურადღების დაძაბვა და დიდი ენერგიის დახარჯვა მოითხოვა.

მიუხედავად შეხსენებებისა, რესპუბლიკურ მიზნობრივ სემინარში მონაწილეობა არ მიუღიათ ორგანიზატორებს ქ. გორის, თბილისის ოქტომბრის, საქარხნო, ასპინძის, ბოგდანოვკის, ვანის, გეგეჭკორის, მცხეთის, ლენტეხის, თეთრიწყაროს, ჩოხატაურის რაიონებიდან. ხუთი დღის დაგვიანებით ჩამოვიდნენ წარმომადგენლები საგარეჯოს, ქარელის, თერჯოლისა და წითელწყაროს რაიონებიდან. სემინარის მონაწილეთა შერჩევაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკის უმეტეს ქალაქებსა და რაიონებში არავის უზრუნვია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაც გარკვეულწილად განაპირობა მსმენელთა ერთი ნაწილის პა-სიურობა და გამოავლინა მათი მომზადების დაბალი დონე.

ჩატარებულმა მიზნობრივმა სემინარმა მრავალი საყურადღებო ფაქტი გამოავლინა. მათ შორის:

1) კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარე, სასურველია, მათი გადამზადება ატარებდეს ზუგდიდში ჩატარებული სემინარის ხასიათს, რამეთუ არსებული სწავლების ფორმა ვერ აღწევს სასურველ მიზანს.

2. სემინარმა ბევრი კარგი მუშაკი გაგვაცნო, გამოავლინა მათი უნარი და შესაძლებლობები, მოგვცა საშუალება სკოლებში არსებული მუშაობის დადებითი გამოცდილება გაგვეანალიზებინა და განგვეზოგადებინა.

3. სემინარის მუშაობამ დაგვანახვა ისიც, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა კადრების შერჩევას, მათ სწავლებას, ადგილებზე მუშაობის დადებითი გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვას. ამაში ერთხელ კიდევ მსმენელთა მიერ წარმოდგენილი რეფერატების განხილვამ და გაანალიზებამ დაგვარწმუნა.

უნდა აღინიშნოს ის დიდი მუშაობა, რომელიც გასწია ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. მ. ნარმანია), სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობამ (დირექტორი გ. გეთია, მოადგილე ლ. შელია), რათა ადგილზე შექმნილიყო საჭირო პირობები სემინარის ნორმალური მუშაობისათვის. სემინარის მუშაობის პროცესში პარტიისა და კომკავშირის რაიონული კომიტეტები ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდნენ სამეურნეო თუ ორგანიზაციული საკითხების დროულად მოგვარებას.

**აღმზრდელობითი მუშაობის სამართველო**

f-4523

## РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**2 ноября 1978 года**

### О результатах Республиканского целевого семинара организаторов внеклассной и внешкольной работы

Коллегия Министерства просвещения решила:

1. Принять к сведению информацию о результатах Республиканского целевого семинара организаторов внеклассной и внешкольной работы.
2. Поручить Управлению воспитательной работы совместно с Центральным институтом усовершенствования учителей ежегодно проводить аналогичные курсы переподготовки организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы.
3. Обязать министерства просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующих отделами народного образования Юго-Осетинской а/о, городов и районов республики указанный вопрос рассмотреть на заседаниях советов народного образования. С особым вниманием отнестись к подбору вновьначинающих, перспективных работников для их направления на Республиканские курсы организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы.
4. За активное участие в подготовке и проведении Республиканского целевого семинара организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы объявить благодарность заведующим отделами народного образования г. Зугдиди и Зугдидского района тов. тов. К. Микаиа и М. Нар-

ეროვნული ბიბლიოთეკა

мания, директору средней школы-интерната Зугдидского района тов. Г. Гетиа и заместителю директора по учебно-воспитательной работе тов. Л. Шелиа.

5. Контроль за выполнением настоящего решения поручить Управлению воспитательной работы (тов. М. Очигава).

**Председатель коллегии**

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ИНФОРМАЦИЯ

## О результатах Республиканского целевого семинара организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы

Во исполнение решения коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 21 июня 1978 года на базе средней школы-интерната Зугдидского РОНО был проведен Республиканский целевой семинар организаторов внеклассной и внешкольной работы. Ответственность за организацию проведения семинара на высоком уровне была возложена на Управление воспитательной работы Министерства просвещения и Центральный институт усовершенствования учителей.

Районным и городским отделам народного образования вовремя разослано решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР о проведении Республиканского целевого семинара. В работе семинара приняли участие 212 товарищей. Из них женщин — 133, членов КПСС и кандидатов в члены КПСС — 123, до 30-летнего возраста — 48, с 30 до 40-летнего возраста — 73, с 40 до 50-летнего возраста — 69, с 50 до 60-летнего возраста — 20, свыше 60-летнего возраста — 2. По стажу работы: до одного года — 37 товарищей, до 5 лет— 87, с 5 до 10 лет — 88.

Комплексный подход к воспитанию учащихся требует глубокого анализа и верного решения целого ряда вопросов. Обширным был круг вопросов, охвативших семинар. Вся работа семинара проходила в свете решений Всесоюзного и IV съездов учителей Грузии. Глубокое сознание возложенных на организатора обязанностей помимо определенного практического опыта требует от него больших теоретических и политических знаний, педагогического мастерства. Именно этой цели и служил Республиканский семинар организаторов.

Целевой семинар в определенной мере раскрыл и привел в систему сущность форм и методов работы организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы. В центре

внимания оказались основные задачи и принципы коммунистического воспитания подрастающего поколения.

Тематика Республиканского семинара охватила множество узловых вопросов, таких как: формы и методы деятельности организатора внеклассной и внешкольной работы, создание системы воспитательной работы — основная работа организатора, планирование работы организатора, содержание воспитательной работы, принцип планирования, методика изучения, обобщения и распостранения передового опыта внеклассной и внешкольной работы и т. д.

Перед участниками семинара с лекциями и докладами по теоретическим вопросам выступили работники Центрального института усовершенствования учителей, Научно-методического центра воспитательной работы, Республиканского Дворца пионеров и школьников, а также заведующие отделами народного образования г. Зугдиди и Зугдидского района.

Каждый день семинара был днем изыскания необходимых форм и методов правильной организации неучебного времени. Слушателям были даны задачи, опираясь на практический опыт, подготовить рефераты по вопросами воспитательной работы. На семинаре им были созданы условия для проявления их практических навыков. Республиканский семинар, проводимый в Зугдиди от предыдущих курсов, совещаний, семинаров и конференций организаторов внеклассной и внешкольной работы отличался и тем, что вторая половина дня принимавших участие в работе семинара всецело подчинялась организации неучебного времени и принципам создания системы воспитательной работы, что, в свою очередь, помимо большой работы и организации, требовало правильного осмысления и решения большого круга вопросов. Каждое мероприятие семинара служило не только цели развлечения и отдыха ее участников, но и подразумевало его методическое рассмотрение, осмысление и анализ. Именно этой цели служил целый ряд мероприятий, таких как: посещение фильмов и спектаклей, встреча с творческих коллективом театра, организация

дней кино и театра, устного журнала, смотр художественной самодеятельности, день советских ритуалов, пресконференция, спартакиада, конкурс на лучшую стенгазету, экскурсии и т. д.

Участников семинара по группам для практических мероприятий готовили: старший инспектор Министерства — М. Бачилава, из Научно-методического центра воспитательной работы тов. тов. К. Гагнидзе, Ж. Лондаридзе, З. Одишариа, Н. Сардлчшвили, из Республиканского Дворца пионеров и школьников М. Омиадзе, директор 121-ой средней школы г. Тбилиси Е. Тевдорадзе, руководитель сектора внеклассной и внешкольной работы Центрального института усовершенствования учителей М. Сакварелидзе.

Каждое мероприятие анализировалось, готовились рекомендации по проведению аналогичных мероприятий в школах. Особое внимание уделялось проблемам работы со старшеклассниками, особенностям этой работы.

Работа Республиканского целевого семинара совпала с днями проведения Всесоюзного съезда учителей. Именно поэтому материалы съезда были тщательно и широко изучены.

Заместитель Министра просвещения ГССР тов. З. Ломидзе, директор Центрального института усовершенствования учителей тов. М. Дарчиа и директор Республиканского Дворца пионеров и школьников тов. Т. Жгенти при встрече с участниками семинара коснулись многих вопросов деятельности организаторов. На этих встречах были получены ответы на ряд самых интересных и проблематичных вопросов.

Примечательным показался нам тот факт, что участники семинара представили много работ по вопросам трудового воспитания, что, в свою очередь, указывает на ту большую работу, которую сегодня проводят школы для целенаправленного трудового воспитания учащейся молодежи в свете решений XXV съездов КПСС и Компартии Грузии.

Здесь же хочется отметить, что в работе Республиканского целевого семинара должны были принять участие представители организаторов внеклассной и внешкольной работы

из каждого города и района (количество участников определилось на месте из общего количества организаторов). Несмотря на то, что министерствам и отделам народного образования вовремя было сообщено о цели, времени и месте проведения семинара, некоторые товарищи не отнеслись с должным вниманием и ответственностью к этому вопросу. Семинар начал свою работу 28 июня. 30 июня на семинаре все еще не присутствовали представители 43-х районов республики, что вызвало необходимость еще раз телеграфировать и напомнить товарищам о прибытии на семинар. Несмотря на напоминание в работе семинара принимали участие 212 товарищей. Однако, большинство прибывших на семинар не имели представления о его содержании и сроках их командировки. Такое расположение одной части слушателей в первые дни семинара осложнило условия его работы. Поэтому возникла необходимость отстранения некоторых слушателей от участия в работе семинара. Имели место и другие нарушения. Так например: организатор внеклассной работы 129-ой средней школы г. Тбилиси тов. О. Артмелидзе пройдя регистрацию, без разрешения оставил семинар и на протяжении двух недель не удалось установить его местонахождения. Из-за создавшейся обстановки, организаторам семинара пришлось затратить много энергии для нормализации работы.

Несмотря на напоминания в работе Республиканского целелвого семинара не приняли участия организаторы из города Гори, Октябрьского, Заводского районов г. Тбилиси, Аспиндзского, Богдановского, Ванского, Гегечкорского, Мцхетского, Тетрицкаройского, Чохатаурского районов. С опозданием на 5 дней прибыли на семинар представители Сагареджойского, Карельского, Терджольского и Цителцкаройского районов. О подборе участников семинара, как уже отмечалось выше, во многих городах и районах республики никто не позаботился, что в определенной мере обусловило пассивность части слушателей и показала низкий уровень их подготовки.

Целевой семинар выявил много примечательных фактов. Из них:

1. исходя из специфики работы организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы, желательно, чтобы их переподготовка носила тот же характер, что и семинар, проведенный в Зугдидском районе, так как имеющаяся форма обучения организаторов не достигает желаемой цели;

2. семинар познакомил нас со многими хорошими работниками, обнаружил их способности и дал возможность проанализировать и обобщить имеющийся в школах положительный опыт;

3. работа семинара показала, что не уделяется должное внимание подбору кадров организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы, их обучению, распространению и внедрению на местах передового опыта работы, в чем мы убедились при рассмотрении и анализе представленных слушателями рефератов.

Надо отметить большую работу, проделанную Зугдидским районным отделом народного образования (тов. М. Нармания) и руководством школы-интерната (директор Г. Гетиа, заместитель Л. Шелиа) в создании необходимых условий для нормальной работы семинара. В процессе работы семинара партийные и комсомольские районные комитеты с вниманием и заботой отнеслись к своевременному упорядочению хозяйственных и организационных проблем.

**Управление воспитательной работы**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

## 1978 წლის 2 ნოემბრის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში 1978—1979 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1978—1979 სასწავლო წელი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში, ძირითადად, ორგანიზებულად დაიწყო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სკოლებმა და სხვა საბავშვო დაწესებულებებმა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, სკოლების, სასკოლო ინტერნატებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების ქსელის რაციონალურად განლაგების, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებებით სკოლების აღჭურვის, სასკოლო დოკუმენტაციით, სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით, პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით მათი უზრუნველყოფის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა კადრებით სკოლების დაკომპლექტების, სკოლებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებისა და სხვა მიზნით. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს დროულად დაეგზავნათ მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციების ჩატარების რეკომენდაციები და სექციური სხდომების სანიმუშო თემატიკა, კორექტივები ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ხაზვის პროგრამებში და შესაბამისი მეთოდური მითითებები.

ზაფხულის პერიოდში რესპუბლიკის 7 ქალაქსა და რაიონში შემოწმდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობა, ხოლო ყველა რაიონსა და ქალაქში — დამამთავრებელი სასკოლო, ბაგა-ბაღებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობის მდგომარეობა. ექსპლოატაციაში შევიდა 64 ახალი სასკოლო შენობა 29.835 მოსწავლის ადგილით, საბავშვო ბაღები — 1120 ბავშვის ადგილით, სასკოლო ინტერნატები — 280 ადგილით, მასწავლებელთა საცხოვრებელი

სახლები — 420 კვმ ფართობით. რუსთავსა და გურჯაანში სკოლა-ინტერნატების ბაზაზე გაიხსნა სქოლიოზით, პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენებითა და ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სპეცსკოლა-ინტერნატები. კვლავ გრძელდებოდა სასკოლო ქსელის რაციონალიზაცია, დაწყებითი სკოლების რაოდენობა შემცირდა 43 ერთეულით, რვაწლიანი სკოლებისა — 9 ერთეულით, საშუალო სკოლების რაოდენობა კი გაიზარდა 3 ერთეულით.

სკოლებმა და სხვა საბავშვო დაწესებულებებმა ცენტრალიზებული მომარაგების ხაზით 1978 წლის 8 თვეში მიიღეს 8147 ათასი მანეთის საქონელი, მათ შორის 1.400 ათასი მანეთის მერხი, 616 ათასი მანეთის მოსწავლის მაგიდა, 2.113 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის რბილი და მაგარი ინვენტარი, 2. 897 ათასი მანეთის სწავლების ტექნიკური საშუალებები და თვალსაჩინოება.

დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულდა 100,5%-ით, საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში — 103,5%-ით, სკოლა-ინტერნატებში 86%-ით, ხოლო გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში 113%-ით.

რესპუბლიკის სკოლებში წელს დაინიშნა 1423 ახალგაზრდა მასწავლებელი, თუმცა ამან მთლიანად ვერ გადაწყვიტა მასწავლებელთა კადრებით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის საკითხი. დიდი რაოდენობით აკლიათ მათემატიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა საგნების სპეციალისტები დმანისის, დუშეთის, ასპინძის, აბაშის, გეგეჭკორის, ქედის, ხულოს, შუახევის, თიანეთის, მესტიისა და სხვა რაიონებში. გეგმით გათვალისწინებულ 263 ადგილზე რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში კონკურსგარეშე ჩაირიცხა 195 ახალგაზრდა.

ბევრ ქალაქსა და რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში კარგი დახმარება გაუწიეს სკოლებს შეფმა ორგანიზაციებმა. სკოლების საჭიროებისათვის ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაიღეს 525,5 ათასი მანეთი, მათი სახსრებით უკეთ მოეწყო გახანგრძლივებული დღის სკოლა სოფელ კახათში, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის კომბინატი სოფელ ინგირში.

დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს შეფმა ორგანიზაციებმა ქო-

ბულეთის, ხობის, მახარაძის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში.

ეროვნული

ახალი სასწავლო წლიდან რესპუბლიკაში მუშაობს 4 სასკოლთაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი (გულრიფშის, თერჯოლის, ზუგდიდის, თბილისის 1 მაისის რაიონებში). მიმდინარეობს დამატებით 9 კომბინატის მოწყობის სამუშაოები. თბილისის საწარმოებთან გაიხსნა 28 სასწავლო-საწარმოო საამქრო.

კარგი შედეგი გამოიღო დამატებითი გამოცდების დანიშვნამ სასწავლო წლის ბოლოსათვის. თუ 1976—1977 სასწავლო წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად იმავე კლასში დატოვებულ იქნა 10169 მოსწავლე, 1977—1978 სასწავლო წელს მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 8.947-მდე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა შემცირდა, წელს 11.700 მოსწავლით მეტი გადავიდა შემდეგ კლასში, ვიდრე გასულ 1977 წელს. ამასთანავე, დამატებითი გამოცდების გადმოტანამ ივნისში და გადასაყვან კლასებში გამოცდების გაუქმებამ მეტი დრო გამოუთავისუფლა სკოლებს ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

გაუმჯობესდა სკოლებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობა. ქ. რუსთავში 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ახალი ტიპის სასკოლო კვების კომბინატი, რომელიც 25.000 მოსწავლეს ემსახურება. ასეთი კომბინატები მოეწყო ქ. ბათუმსა და გურჯაანში. საგრძნობლად გაიზარდა სასკოლო სასადილოების რაოდენობა თბილისში, თუ აქ 1976 წელს მოსწავლეთა მხოლოდ 8,6% იკვებებოდა ცხელი საუზმით, ამჟამად ეს ციფრი 30%-მდეავიდა.

ამასთან ერთად, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების და სხვა საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში იყო არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებიც.

ადგილი ქონდა დაუმთავრებელი სკოლებისა და ბაგა-ბაღების ექსპლოატაციაში მიღებას, პრაქტიკაში არ არის დანერგილი სკოლების მზადყოფნის შემოწმება და აქტების შედგენა, შექმნილი არ არის სათანადო კომისიები.

ზოგან სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების რემონტი დაგვიანებით დაიწყო, არ ყოფნიდათ სარემონტო მასალები, რის გამოც სარემონტო სამუშაოები დროულად არ დამთავრდა, შესრუ-

ლებული სამუშაოები უხარისხოა, მოსწავლეთა შრომითი საწარმოო ბრიგადები გამოყენებული არ იყო შენობების რემონტისა და კეთილმოწყობის საქმეში. მოუწესრიგებელი იყო სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, სპორტული დარბაზები და ეზო-კარმიდამო, დაცული არ იყო სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი. ეს ითქმის თელავის მე-4, მე-5, მე-6, ვანის რაიონის შუამთის, ვანის გ. ტაბიძის სახელობის, თბილისის მე-11, 25-ე, 76-ე, 116-ე, 150-ე, გარდაბნის, ხელვაჩაურის, გორის, ახალციხის რაიონების რიგ საშუალო სკოლებზე.

სახალხო განათლების განყოფილებებმა დროულად ვერ მიაწოდეს ყველა სკოლას სასწავლო გეგმები, პროგრამები, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ხაზვის პროგრამების კორექტივები და მეთოდური მითითებები, მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის რეკომენდაციები და სხვა საჭირო მასალა. გულგრილობა გამოიჩინეს ამ საქმეში თბილისის რაიონების განათლების განყოფილებებმა, რომლებსაც აღნიშნული მასალები 12 სექტემბერსაც კი არ ქონდათ გატანილი ბაზიდან.

ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო სასადილოების და ბუფეტების გახსნის, საამისოდ სათანადო სათავსოების გამოყოფის, სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისა და ცხელი საუზმით მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში გადამჭრელი ღონისძიებები არ გატარდა სკოლაში მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის მოსაწესრიგებლად. ბევრგან სასკოლო სასადილოები და ბუფეტები მოთავსებულია მცირე ფართობის შეუფერებელ სათავსოებში და აღჭურვილი არ არის ყველა აუცილებელი დანადგარით. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს შემოწმებით მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სანიტარულ მოთხოვნებს თბილისის რამდენიმე სკოლის, ქუთაისის (მე-8), ქობულეთის (მე-9), ხულოს (მე-3), შუახევის (მე-3) ქედის (მე-3), ზესტაფონის (24-ე), ბოლნისის (მე-15), საჩხერის (მე-13), ამბროლაურის (მე-5), მცხეთის (მე4), წულუკიძის (მე-6), თიანეთის (მე-4) თელავის (მე-3), ზუგდიდის (მე-15), თერჯოლის (მე-5), რაიონებისა და ჭიათურის ზონის (მე-15) სკოლების ბუფეტები და სასადილოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

